

ფასიკ-ის ინტერპრეტაცია 20

ღია წესით დასამუშავებელი საბადოს ექსპლუატაციის ეტაპზე გაწეული საბადოს გადახსნის დანახარჯები

წყაროები

- „ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები“.¹
- ბასს 1 – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“.
- ბასს 2 – „მარაგები“.
- ბასს 16 – „ძირითადი საშუალებები“.
- ბასს 38 – „არამატერიალური აქტივები“.

ამოსავალი ინფორმაცია

1. სასარგებლო წიაღისეულის საბადოს ღია წესით დამუშავებისას საწარმოს შეიძლება დასჭირდეს გრუნტის უსარგებლო ქანების („ფუჭი ქანები“) მოცილება, რათა მიაღწიოს სასარგებლო წიაღისეულის მარაგამდე. ამ საქმიანობას, გრუნტის ფუჭი ქანების მოცილებას, საბადოს „გადახსნის სამუშაოებს“ უწოდებენ.
2. საბადოს ათვისების ეტაპზე (საბადოს ექსპლუატაციის, ანუ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დაწყებამდე), როგორც წესი, საბადოს გადახსნის დანახარჯები კაპიტალიზდება საბადოს სამშენებლო, მოსამზადებელი და სამთო-კაპიტალური სამუშაოების თავდაპირველ ამორტიზებად ღირებულებაში. საბადოს ექსპლუატაციის დაწყების შემდეგ ზემოაღნიშნულ კაპიტალიზებულ დანახარჯებზე ცვეთის დარიცხვა, ან მისი ამორტიზება ხდება სისტემატურ საფუძველზე, რისთვისაც ჩვეულებრივ გამოიყენება წარმოებულ ერთეულთა მეთოდი.
3. სამთო-მოპოვებელმა საწარმომ ფუჭი ქანების მოშორების სამუშაოები შეიძლება გააგრძელოს და საბადოს გადახსნის დანახარჯები გასწიოს საბადოს ექსპლუატაციის ეტაპზე.
4. ქანები, რომლებსაც საბადოს მოაცილებენ გადახსნის სამუშაოების ჩატარებით საბადოს ექსპლუატაციის ეტაპზე, აუცილებელი არ არის, რომ 100%-ით მინარევები იყოს. ხშირად ეს არის ხოლმე მადნისა და მინარევების ერთობლიობა. მადნის თანაფარდობა მინარევებთან შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს, მათ შორის, ისეთი დაბალი დონის, როდესაც მადნის მოპოვება ეკონომიკურად მიზანშეწონილი არ არის და იმდენად მაღალი დონის, როდესაც მადნის მოპოვება მოგებიანი იქნება. ისეთი ქანების მოცილებით, რომლისთვისაც მადნისა და მინარევების თანაფარდობის კოეფიციენტი დაბალია, შეიძლება საწარმომ მიიღოს გარკვეული რაოდენობის სასარგებლო მასალა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია მარაგების საწარმოებლად. გარდა ამისა, შეიძლება შესაძლებელი გახდეს წვდომა ქანების უფრო ღრმა შრეებთან, რომლებსაც მადნისა და მინარევების თანაფარდობის კოეფიციენტი უფრო მაღალი ექნება. ამგვარად, საწარმომ შეიძლება ორგვარი სარგებელი მიიღოს საბადოს გადახსნის სამუშაოების ჩატარებით: მოიპოვოს ექსპლუატაციისთვის ვარგისი მადანი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია მარაგების საწარმოებლად და გაიუმჯობესოს მისადგომი სასარგებლო წიაღისეულის სხვა დანარჩენ მარაგთან, რომლის მოპოვებაც მომავალ პერიოდებში იქნება შესაძლებელი.
5. წინამდებარე ინტერპრეტაციაში განხილულია, როდის და როგორ უნდა აღრიცხოს საწარმომ ცალ-ცალკე ზემოაღნიშნული ორი სარგებელი, რომელსაც იღებს საბადოს გადახსნის სამუშაოთა ჩატარების შედეგად, ასევე როგორ უნდა შეაფასოს თითოეული ამგვარი სარგებელი თავდაპირველად და შემდგომში.

1. მითითება ეხება 2010 წელს გამოცემულ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს, რომელიც ძალაში იყო ამ ინტერპრეტაციის შემუშავების დროს.

მოქმედების სფერო

6. მოცემული ინტერპრეტაცია გამოიყენება ფუჭი ქანების მოსაცილებელი სამუშაოების დანახარჯების მიმართ, რომელიც ტარდება ღია წესით დასამუშავებელი საბადოს ექსპლუატაციის ეტაპზე („საბადოს ექსპლუატაციის ეტაპზე გაწეული გადახსნის დანახარჯები“).

განსახილველი საკითხები

7. მოცემული ინტერპრეტაცია ეხება შემდეგ საკითხებს:
 - ა) საბადოს ექსპლუატაციის ეტაპზე გაწეული გადახსნის დანახარჯების აღიარება აქტივად;
 - ბ) საბადოს გადახსნის სამუშაოებთან დაკავშირებით აღიარებული აქტივის თავდაპირველი შეფასება; და
 - გ) საბადოს გადახსნის სამუშაოებთან დაკავშირებით აღიარებული აქტივის შემდგომი შეფასება.

კონსენსუსი

საბადოს ექსპლუატაციის ეტაპზე გაწეული გადახსნის დანახარჯების აღიარება აქტივად

8. თუ საბადოს გადახსნის სამუშაოებიდან მიღებული სარგებელი რეალიზდება წარმოებული/მოპოვებული მარაგის ფორმით, საწარმომ საბადოს გადახსნის სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები უნდა აღრიცხოს ბასს 2-ის – „მარაგები“ – პრინციპების შესაბამისად. თუ მიღებული სარგებელი წარმოადგენს მადნის სხეულთან მისადგომის გაუმჯობესებას, საწარმომ ეს დანახარჯები უნდა აღიაროს როგორც გრძელვადიანი აქტივი იმ პირობით, თუ დაკმაყოფილებულია მომდევნო მე-9 პუნქტის კრიტერიუმები. წინამდებარე ინტერპრეტაციაში ამგვარ გრძელვადიან აქტივს ეწოდება „საბადოს გადახსნის სამუშაოების აქტივი“.
9. საწარმომ გადახსნის სამუშაოების აქტივი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ უნდა აღიაროს, როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი კრიტერიუმი:
 - ა) დიდი ალბათობით არის მოსალოდნელი, რომ საწარმო მიიღებს საბადოს გადახსნის სამუშაოებთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს (მადნის სხეულთან მისადგომის გაუმჯობესება);
 - ბ) საწარმოს შეუძლია მადნის სხეულის იმ კომპონენტის იდენტიფიკაცია, რომლის მისადგომიც გაუმჯობესდა; და
 - გ) საწარმოს შეუძლია მადნის სხეულის ამ კომპონენტთან დაკავშირებული საბადოს გადახსნის სამუშაოების დანახარჯების საიმედოდ შეფასება.
10. საბადოს გადახსნის სამუშაოების აქტივი უნდა აისახოს, როგორც არსებული აქტივის გადიდება, ან გაუმჯობესება. სხვა სიტყვებით, გადახსნის სამუშაოების აქტივი აისახება, როგორც არსებული აქტივის *ნაწილი*.
11. საბადოს გადახსნის სამუშაოების აქტივი მატერიალურ, ან არამატერიალურ აქტივად კლასიფიცირდება არსებული აქტივის კლასიფიკაციის შესაბამისად. სხვა სიტყვებით, არსებული აქტივის ხასიათი განსაზღვრავს იმას, საწარმო გადახსნის სამუშაოების აქტივს მატერიალური აქტივის კლასიფიკაციას მიანიჭებს, თუ არამატერიალურის.

საბადოს გადახსნის სამუშაოების აქტივის თავდაპირველი შეფასება

12. საწარმომ საბადოს გადახსნის სამუშაოების აქტივი თავდაპირველად უნდა აისახოს თვითღირებულებით. მოცემული აქტივის თვითღირებულება შედგება პირდაპირი დანახარჯებისგან, რომლებიც გაწეულია საბადოს გადახსნის სამუშაოების ჩასატარებლად მადნის სხეულის იდენტიფიცირებულ კომპონენტთან მისადგომის გაუმჯობესების მიზნით და ასევე ამ სამუშაოებზე უშუალოდ მისაკუთვნებელი ზედნადები ხარჯებისგან. საბადოს ექსპლუატაციის

ეტაპზე გადახსნის სამუშაოების პარალელურად შეიძლება მიმდინარეობდეს გარკვეული დამხმარე სამუშაოები, რომლის შესრულება აუცილებელი არ არის იმისთვის, რომ ექსპლუატაციის ეტაპზე საბადოს გადახსნის სამუშაოები გაგრძელდეს გეგმის შესაბამისად. ამგვარ დამხმარე სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები არ უნდა აისახოს გადახსნის სამუშაოების აქტივის თვითღირებულებაში.

13. იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია გადახსნის სამუშაოების აქტივზე გაწეული დანახარჯებისა და მოპოვებული მარაგების ცალ-ცალკე იდენტიფიცირება, საწარმომ ექსპლუატაციის ეტაპზე გაწეული საბადოს გადახსნის დანახარჯები უნდა გაანაწილოს მოპოვებულ მარაგებსა და საბადოს გადახსნის სამუშაოების აქტივზე ისეთი მეთოდით, რომელიც ეყრდნობა გამომუშავების შესაფერის მაჩვენებელს. გამომუშავების მაჩვენებელი საწარმომ უნდა გამოითვლოს მადნის სხეულის იდენტიფიცირებულ კომპონენტთან მიმართებით და გამოიყენოს როგორც კრიტერიუმი იმის დასადგენად, რა დონის დამატებითი სამუშაოები შესრულდა მომავალი სარგებლის შესაქმნელად. ქვემოთ ჩამოთვლილია ამგვარი მაჩვენებლების მაგალითები:
- ა) მოპოვებული მარაგების ღირებულება ნავარაუდევ ღირებულებასთან შედარებით;
 - ბ) მოპოვებული ფუჭი ქანების მოცულობა ნავარაუდევ მოცულობასთან შედარებით, მოპოვებული მადნის მოცულობაზე გაანგარიშებით; და
 - გ) მოპოვებულ მადანში სასარგებლო წიაღისეულის შემცველობა ნავარაუდევ შემცველობასთან შედარებით, მოპოვებული მადნის რაოდენობაზე გაანგარიშებით.

საბადოს გადახსნის სამუშაოების აქტივის შემდგომი შეფასება

14. თავდაპირველი აღიარების შემდეგ გადახსნის სამუშაოების აქტივი უნდა აისახოს თვითღირებულებით, ან გადაფასებული ღირებულებით, ცვეთის ან ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით, იმავე მეთოდით, როგორც ასახულია არსებული აქტივი, რომლის ნაწილიც არის.
15. გადახსნის სამუშაოების აქტივზე ცვეთის ან ამორტიზაციის დარიცხვა უნდა ხდებოდეს სისტემატურად, მადნის სხეულის იმ იდენტიფიცირებული კომპონენტის სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით, რომლის მისადგომიც გაუმჯობესდა გადახსნის სამუშაოების ჩატარების შედეგად. ამ მიზნით საწარმომ უნდა გამოიყენოს წარმოებულ ერთეულთა მეთოდი, თუ რომელიმე სხვა მეთოდის გამოყენება უფრო მიზანშეწონილი არ არის.
16. მადნის სხეულის იდენტიფიცირებული კომპონენტის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადა, რომელიც გამოიყენება საბადოს გადახსნის სამუშაოების აქტივზე ცვეთის, ან ამორტიზაციის დასარიცხად, განსხვავებული იქნება მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადისგან, რომელიც გამოიყენება ცვეთის, ან ამორტიზაციის დასარიცხად თვითონ საბადოზე და მასთან დაკავშირებულ აქტივებზე, რომელთა ექსპლუატაციის ვადა საბადოს ექსპლუატაციის ვადის მიხედვით განისაზღვრება. ამ პრინციპიდან გამონაკლისს წარმოადგენს გარემოებები, როდესაც საბადოს გადახსნის სამუშაოთა ჩატარება აუმჯობესებს მადნის სხეულის მთელ დარჩენილ ნაწილთან მისადგომს. მაგალითად, ასე შეიძლება მოხდეს საბადოს სასარგებლო მომსახურების ვადის მიწურულს, როდესაც იდენტიფიცირებული კომპონენტი წარმოადგენს მოსაპოვებელი მადნის სხეულის ბოლო ნაწილს.

დანართი ა

ძალაში შესვლის თარიღი და მოცემულ ინტერპრეტაციაზე გადასვლა

წინამდებარე დანართი ინტერპრეტაციის განუყოფელი ნაწილია და ისეთივე ძალა აქვს, რაც ინტერპრეტაციის სხვა ნაწილებს.

- ა1. საწარმომ წინამდებარე ინტერპრეტაცია უნდა გამოიყენოს 2013 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ინტერპრეტაციას უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი.
- ა2. საწარმომ მოცემული ინტერპრეტაცია უნდა გამოიყენოს საბადოს ექსპლუატაციის პერიოდის გადახსნის დანახარჯებთან მიმართებით, რომლებიც გაწეულია ანგარიშგებაში წარდგენილი ყველაზე ადრეული პერიოდის დაწყების თარიღის მდგომარეობით, ან მის შემდეგ.
- ა3. ანგარიშგებაში წარდგენილი ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისისთვის არსებული აქტივების ნაშთი, რომლებიც ადრე იყო აღიარებული ექსპლუატაციის ეტაპზე განხორციელებულ საბადოს გადახსნის სამუშაოებთან დაკავშირებით („ადრე ჩატარებული გადახსნის სამუშაოების აქტივი“), საწარმომ უნდა გადაიტანოს არსებული აქტივის შემადგენლობაში, რომელთანაც დაკავშირებული იყო საბადოს გადახსნის სამუშაოები, იმ პირობით, თუ ამ თარიღისთვის ისევ არსებობს მადნის სხეულის იდენტიფიცირებული კომპონენტი, რომელსაც შეიძლება დაუკავშირდეს ადრე ჩატარებული საბადოს გადახსნის სამუშაოების აქტივი. ამგვარ ნაშთებს ცვეთა ან ამორტიზაცია უნდა დაერიცხოს მადნის სხეულის იმ იდენტიფიცირებული კომპონენტის დარჩენილი ნავარაუდები სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით, რომელსაც განეკუთვნება ადრე ჩატარებულ გადახსნის სამუშაოებთან დაკავშირებული თითოეული კონკრეტული აქტივის ნაშთი.
- ა4. თუ აღარ არსებობს მადნის სხეულის იდენტიფიცირებული კომპონენტი, რომელთანაც დაკავშირებულია ადრე ჩატარებული გადახსნის სამუშაოების აქტივი, ასეთი აქტივი უნდა აღიარდეს ანგარიშგებაში წარდგენილი ყველაზე ადრეული პერიოდის გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთში.